5

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აგვისტო 2024 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩას, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ორ შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:492481 Y:4610671
ბულიკო გოდოლაძის ქ.
X:492328 Y:4610411
X:492333 Y:4610397
ბულიკო გოდოლაძის ქ.
II შეს
I შეს
X:491912 Y:4610279
X:492338 Y:4610220
X:492389 Y:4610176

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

13

28 / მარტი / 2024 წ.

04-032408994-03
17-032412177-03

KA011782642669124

№ **70373**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 2 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა გიორგი კორაშვილის განცხადება (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 136667/17), რომლითაც მოთხოვნილია მისამართების მოწესრიგება ვაგზლის ქუჩაზე და გასასვლელში.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ვაგზლის ქუჩა" (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები"), რომელიც მდებარეობს ისანი-სამგორის რაიონში (ქვემო ფონიჭალა), რუსთავის გზატკეცილიდან რკინიგზამდე.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ ვაგზლის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავ ქონებებთან მდებარეობს გეოგრაფიული ობიექტი (ქუჩა), რომელიც არ არის სახელდებული კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპვამასგულია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032420628**
თარიღი: **24/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 29 მარტის საქმე #04-03240894-03 დაკავშირებით, რომლითაც გიორგი კორაშვილის (ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის #136667/17) მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ვაგზლის ქუჩაზე და მის მიმდებარედ მისამართების მოწესრიგება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვაგზლის ქუჩის და მის მიმდებარედ არსებული უსახელო გზის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242122778**
თარიღი: **30/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 24.07.2024 წლის # 03-032420628 (24.07.2024 წ. #14-01242062033-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გულიკო გოდოლაძე

კინორეჟისორი, აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი

გულიკო გოდოლაძე კინოსტუდია „მატეანე“-ში 1985 წლიდან მუშაობდა. როდესაც 1992 წელს აფხაზეთში ომი დაიწყო, იგი გადამღებ ჯგუფთან ერთად აფხაზეთში გაემგზავრა. 1993 წელს აფხაზეთში ბრძოლის წინა ხაზზე ისევ ჩავიდა კინოსტუდია „მატეანის“ 9 კაციანი შემადგენლობა, მათ შორის იყო კინორეჟისორი გულნაზ გოდოლაძეც. ჟურნალისტები ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ, ესაუბრებოდნენ მებრძოლებს, ამხნევებდნენ და ამ ყველაფერს ფირზე იწერდნენ. ახალგაზრდა ქალის მხნეობასა და შრომისმოყვარეობას ყველა განცვიფრებაში მოყავდა, 1993 წლის 14 მარტი მისთვის ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდა.

1993 წლის 13 მარტს რუსული სამხედრო თვითმფრინავებიდან, ქალაქ სოხუმის მიდმოებში ჩამოყრილ იქნა 500 კილოგრამიანი საავიაციო ბომბები, რომელთა უმრავლესობაც არ აფეთქდა. მეორე დღეს 14 მარტს, ვიცე-პოლკოვნიკ ანდრო მაღლაკელიძის მეთაურობით ერთ-ერთი ასეთი აუფეთქებელი ბომბის გასანაღმავად, მესანგრეთა 8 კაციანი ჯგუფი სოფელ აჩარადას პოზიციაზე გავიდა. ბომბი ადგილობრივი მაცხოვრებლ;ების, ჯანჯღავების ეზოში იყო ჩამოგდებული. მესანგრეთა ჯგუფს ჟურნალისტებიც ახლდნენ თან. განაღმვის დროს ბომბი აფეთქდა და ახლო რადიუსში ყველა ადამიანი იმსხვერპლა. დაიღუპა 7 მესანგრე, მათ შორის ვიცე-პოლკოვნიკი ანდრო მაღლაკელიძე. ასევე დაიღუპა 4 ჟურნალისტი, საქართველოს პრესცენტრის და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეს“ თანამშრომლები: გულიკო გოდოლაძე, გიორგი პოპიაშვილი, ალექსანდრე კარაპეტიანი და ჯუმბერ ეზუგბაია. გულიკო ნაღმის აფეთქების შედეგად მიღებული მრავლობითი ჭრილობებით გარდაიცვალა.

სიკვდილის შემდეგ გულიკო გოდოლაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.